ქვეპროგრამის დასახელება: <u>სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება</u>

რა არის ქვეპროგრამის არსი?

მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირთა ფინანსური დახმარება.

ვინ არიან ქვეპროგრამის ბენეფიციარები?

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 150 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით ქ. თბილისში რეგისტრირებული მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირები.

რას მოიცავს ქვეპროგრამა?

დახმარების ოდენობა წელიწადში 900 ლარს შეადგენს და 300–300 ლარის ოდენობით (მაისი-აგვისტო-დეკემბერი) სამჯერადად გაიცემა.

როგორ უნდა მიიღოს პირმა ბენეფიტი?

ბენეფიციარის პირად ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა განხორციელდება თუ ქვეპროგრამის ფარგლებში პირზე ერთხელ მაინც გაცემულა ფულადი დახმარება ან პირი წარმოადგენს განცხადებას, რომელსაც თან ერთვის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში“ პირის რეგისტრაციის საფუძველზე საფუძველზე შემდეგი პრინციპით:

- მაისის კუთვნილი თანხის ჩარიცხვა განხორციელდება აპრილის მონაცემთა ბაზის საფუძველზე, მომსახურე ბანკიდან ("თიბისი ბანკი") ბენეფიციარის სახელზე არსებული აქტიური ანგარიშის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ.
- აგვისტოს კუთვნილი თანხის ჩარიცხვა განხორციელდება ივლისის მონაცემთა ბაზის საფუძველზე, მომსახურე ბანკიდან ("თიბისი ბანკი") ბენეფიციარის სახელზე არსებული აქტიური ანგარიშის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ.
- დეკემბრის კუთვნილი თანხის ჩარიცხვა განხორციელდება ნოემბრის მონაცემთა ბაზის საფუძველზე, მომსახურე ბანკიდან ("თიბისი ბანკი") ბენეფიციარის სახელზე არსებული აქტიური ანგარიშის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ.